ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4008253

ნომერი: AR1605938

თარიღი : 04.06.2018

გაცემის თარიღი : 11.06.2018

გაცნობის თარიღი : 11.06.2018

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ნუცუბიძის IV მ.რ-ს მიმდებარედ, ონკოლოგიური ცენტრის სამხრეთით ფერდობზე, ნაკვეთი N31;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ფალაჰ ჰასან ჰუსსეინ ჰუსსეინ პ/ნ 01260000024
- საქართველო, ქალაქი თბილისი, სულხან ცინცაძეს ქუჩა, N 43, ბინა 2

ნომენკლატურა :

- განხორციელებული მშენებლობის დადასტურება
- III კლასის ობიექტი

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი და "მშენებლობის ნებართვის გაცემისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახური მოგახსენებთ, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის 17/05/2018წ. #ბ-19101180431598-17/1 ბრძანების შესაბამისად, სამშენებლო სამუშაოები დასასრულებელია, აგრეთვე შეცვლილია ფუნქციური

დანიშნულება, ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლი შეიცვალა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლით. აღნიშნულიდან გამომდინარე განხორციელებული მშენებლობა ქალაქგეგმარებით პირობებთან შეუსაბამობაშია და სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს თქვენი მოთხოვნა. საჭიროა მოთხოვნა დააყენოთ სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში ფუნქციის ნაწილში ცვლილების შეტანასთან დაკავშირებით და შემდეგ მოითხოვოთ შეთანხმებული პროექტის ცვლილება და მშენებლობის ნებართვა.

• დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

• აღნიშნულის შესახებ დადგენილი წესით ეცნობოს დაინტერესებულ მხარეებს და ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.